

შპს „ჯეო-ბეტი“

406312486

ფინანსური ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისათვის რომელიც დასრულდა 2023 წლის 31
დეკემბერს

შპს „ჯეო-ბეტი“

ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

შინაარსი

სრული შემოსავლის ანგარიშგება.....	3
ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება	4
სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	6
1. ზოგადი ინფორმაცია	6
2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა.....	6
3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა	9
4. ამონაგები	10
5. ფინანსური დანახარჯები	10
6. საბიუჯეტო გადასახადები.....	10
7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	10
8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები	10
9. ძირითადი საშუალებები	11
10. ბანკის სესხი	11
11. სავაჭრო ვალდებულებები.....	11
12. კაპიტალი.....	11
13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები	11
14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება.....	12

შპს „ჯეო-ბეტი“

საიდენტიფიკაციო კოდი: 406312486

სრული შემოსავლის ანგარიშგება

საანგარიშგებო წლისთვის, რომელიც დასრულდა 2023 წლის 31 დეკემბერს

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

	შენიშვნა	2023	2022
	4	5839728	4779925
შემოსავალი		(3994754)	(3911928)
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		1844974	867997
საერთო მოგება			
		49491	
სხვა შემოსავალი		(132148)	(98201)
დასაქმებულთა ანაზღაურება		(64698)	(45019)
ცვეთა და ამორტიზაცია			
საპროცენტო შემოსავალი			
საპროცენტო ხარჯი	5	(75064)	(14698)
იჯარის ხარჯი	12	(15840)	
საერთო და ადმინისტრაციული ხარჯები		(1330106)	(467707)
სხვა ხარჯები		0	
		276609	242372
საოპერაციო მოგება			
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		0	
ფინანსური ხარჯი		0	
სხვა წმინდა არასაოპერაციო შემოსავალი/ (ხარჯი)	5	0	
		276609	242372
მოგება დაბეგვრამდე			
მოგების გადასახადის ხარჯი	7	(47182)	
		229427	242372
მიმდინარე წლის მოგება			
სხვა სრული შემოსავალი / (ზარალი):		0	
ძირითადი საშუალებების გადაფასების რეზერვი		0	
სხვა			

მთლიანი სრული შემოსავალი/ (ზარალი)		229427	242372
კაპიტალი საწყისი ნაშთი (პერიოდის საწყისი ნაშთი)		511600	242849
ახალი აქციების გამოშვება		0	
განაწილება მესაკუთრეებზე (მათ შორის დივიდენდი)		(267368)	
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში		0	
კაპიტალის სხვა ცვლილებები		79342	26379
კაპიტალი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს		553006	511600

დირექტორი: არკადი გიგუაშვილი
ხელმოწერა:



შპს „გეო-ბენკი“ (406312486)

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით

საანგარიშგებო ვალუტა: ლარი

აქტივები	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე აქტივები		459951	522187	524894
ფულადი სახსრები და მათი ეკვივალენტები	14	120624	341664	365901
სავაჭრო და სხვა მოთხოვნები	7	184140	98761	71377
სასაქონლო-მატერიალური მარაგები	8	145522	48974	87616
სხვა მიმდინარე აქტივები		0		
გადახდილი ავანსები		9665	32788	
გრძელვადიანი აქტივები		1556093	191315	227655
ძირითადი საშუალებები	9	1556093	191315	227655
არამატერიალური აქტივები	10	0		

სულ აქტივები		2016044	713502	752749
ვალდებულებები	შენიშვნა	31.12.2023	31.12.2022	31.12.2021
მიმდინარე ვალდებულებები		1463038	201902	509700
სავაჭრო ვალდებულებები	11			245105
გამოუმუშავებელი შემოსავალი				
მიმდინარე სასესხო ვალდებულებები		0		
მიღებული ავანსები		0		
საგადასახადო ვალდებულებები		7067	5608	4738
სხვა ვალდებულებები		0		
საიჯარო ვალდებულებები		0		
გრძელვადიანი ვალდებულებები		1455971	196294	259857
გრძელვადიანი სასესხო ვალდებულებები	10	1455971	196294	259857
გადასახდელი პროცენტები		0		
საკუთარი კაპიტალი		0		
საწესდებო კაპიტალი	13	0		
გაუნაწილებელი მოგება		553006	511600	242849
საკუთარი კაპიტალის სხვა კომპონენტები		0		
სულ მოკლევადიანი ვალდებულებები				
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		2016044	713502	752549

დირექტორი: არკადი გიგუაშვილი

ხელმოწერა



6-12 გვერდებზე არსებული შენიშვნები წარმოადგენს მოცემული ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2023 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

შპს „ჯეო-ბეტი“ შეზღუდული პასუხისმგებლობის კომპანიაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში. კომპანიის იურიდიული მისამართი და საქმიანობის ძირითადი ადგილი არის საქართველო, ქ.თბილისი გარდაბნის გზატკეცილი #129 ძირითადი საქმიანობაა სასაქონლო ბეტონის წარმოება.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ლარი).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები

სესხით სარგებლობასთან დაკავშირებული დანახარჯები აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც გაწეულ იქნა.

მოგების გადასახადი

გადასახდელი მოგების გადასახადი ეფუძნება მიმდინარე პერიოდში მოგებით დასაბეგრ ოპერაციებს და მოგების გადასახადის გადახდა ხდება ყოველთვიურად.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების

ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, შემცირებადი ნაშთის მეთოდით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

შენობა-ნაგებობები

5 პროცენტი

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა

20 პროცენტი

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

არამატერიალურ აქტივები

არამატერიალური აქტივები წარმოადგენს შეძენილ კომპიუტერულ პროგრამულ უზრუნველყოფას, რომელიც ასახულია დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულებით. მისი ამორტიზება შემცირებადი ნაშთის მეთოდით აქტივის სასარგებლო მომსახურების შეფასებული ვადის განმავლობაში, 15% იანი განაკვეთით. თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ამორტიზაციის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებებისა და არამატერიალური აქტივების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგებო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ს) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული

(ან ანალოგიური ერთეულების) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრებოდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში, ან ზარალში.

იჯარა

იჯარა ფინანსურ იჯარად კლასიფიცირდება მაშინ, როდესაც იჯარის პირობები ითვალისწინებს იჯარით გაცემული აქტივის საკუთრებასთან დაკავშირებული ფაქტობრივად ყველა რისკისა და ეკონომიკური სარგებლის გადაცემას კომპანიისთვის. ყველა სხვა იჯარა კლასიფიცირდება საოპერაციო (ჩვეულებრივ) იჯარად.

ფინანსური იჯარით ფლობილ აქტივებზე უფლებები აღიარდება, როგორც აქტივები, იჯარით აღებული ქონების რეალური ღირებულების ტოლი თანხით (ან, თუ მასზე ნაკლებია, მინიმალური საიჯარო გადასახდელების დისკონტირებული ღირებულებით), რომელიც განისაზღვრება იჯარის დასაწყისში. მეიჯარის მიმართ შესაბამისი ვალდებულება აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებაში, როგორც ფინანსური იჯარის ვალდებულება. საიჯარო გადასახდელები ნაწილდება დარიცხულ ფინანსურ ხარჯებსა და საიჯარო ვალდებულების შემცირებას შორის ისე, რომ წარმოიქმნება მუდმივი საპროცენტო განაკვეთი ვალდებულების დაუფარავი ნაშთის მიმართ. დარიცხული ფინანსური ხარჯები აკლდება მოგების ან ზარალის შეფასებას. ფინანსური იჯარით ფლობილი აქტივები ჩაირთვება ძირითად საშუალებებში და მათაც ისევე დაერიცხება ცვეთა და ისევე ხდება მათი გაუფასურების ზარალის შეფასება, როგორც საწარმოს საკუთრებაში არსებული აქტივებისთვის.

ჩვეულებრივი იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება მოგებაში, ან ზარალში წრფივი მეთოდით, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ

სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება საშუალო მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია, ძირითადად, ხორციელდება ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით და დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. ყოველი საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებადი. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება საწარმოს ფულად ერთეულში, საანგარიშგებო თარიღისათვის ეროვნული ბანკის მიერ გამოცხადებული ოფიციალური სავალუტო კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

ბანკის სესხები და ოვერდრაფტები

საპროცენტო ხარჯი აღიარდება ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით და აისახება ფინანსურ დანახარჯებში.

3. დივიდენდების გადახდის შეზღუდვა

ბანკის სესხებისა და ბანკის ოვერდრაფტების ხელშეკრულებების პირობების მიხედვით დაუშვებელია ისეთი ოდენობის დივიდენდების გადახდა, რაც გაუნაწილებელი მოგების ნაშთს შეამცირებს ბანკის სესხისა და ბანკის ოვერდრაფტის გადასახდელი ნაშთების ჯამზე ნაკლებ სიდიდემდე.

4. ამონაგები

	2023
საქონლის რეალიზაცია	5839728
მომსახურების გაწევა	0
გაყიდული საქონელის დაბრუნება და ფასდათმობა	0
	0

5. ფინანსური დანახარჯები

	2023
ბანკის სესხის პროცენტი	(73147)
სხვა არასაოპერაციო ხარჯი	(1917)

6. საბიუჯეტო გადასახადები

	2023
მოგების გადასახადი	47182

7. სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

	2023
სავაჭრო დებიტორები	184140
წინასწარი გადახდები	9665
	193805

8. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	2023
ნედლეული	145521
სარეკლამო საქონელი	0
	145521

9. ძირითადი საშუალებები

თვითღირებულება	მიწა და შენობა - ნაგებობები	მანქანა - დანადგარები და მოწყობილობა	ოფისის აღჭურვილობა	ავიჯი და სხვა ინვენტარი	სატრანსპორტო საშუალებები	სულ
1 იანვარი 2023 წ.	1140786	22496	1143	4866	163951	1897673
ცვლილება	171117	4499	228	971	32790	209605
31 დეკემბერი 2023 წ.	969669	17997	915	3895	131161	1123637

10. ბანკის სესხი

	2023
ბანკის სესხი (გრძელვადიანი)	1455971
ბანკის სესხი (მოკლევადიანი)	0
	1455971

11. სავაჭრო ვალდებულებები

2023 წლის 31 დეკემბრისთვის სავაჭრო ვალდებულებები მოიცავს (9665) ლარს

12. კაპიტალი

2023 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 0 ლარს.

13. ფულადი სახსრები და ფულადი სახსრების ეკვივალენტები

	2023
ფულადი სახსრები სალაროში	36038
ფულადი სახსრები ბანკში	84586

14. ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

დირექტორმა ფინანსური ანგარიშგება დამტკიცა და მისი გამოცემის ნებართვა გასცა 2024 წლის 29 ოქტომბერი.

დირექტორი: არკადი გიგუაშვილი

ხელმოწერა:

